სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის 2013 წლის ,, 25.11 „
N #150/01-01 ბრძანების დანართი N1

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი (შემდგომში - ,,ფორუმი”) იმართება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის პირების და უნივერსიტეტში დასაქმებული დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მფლობელი პირებისა და უნივერსიტეტის ემერიტუსების (შემდგომში - ,,ინდივიდუალური მონაწილეები“) მონაწილეობით.

2. ფორუმზე წარდგება უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის შესაბამისი თითო ნაშრომი.

3. ნაშრომები ფასდება უფლებამოსილი საკონკურსო კომისიის მიერ (შემდგომში - ,,კომისია“). კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ფაკულტეტების დეკანებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ხელმძღვანელების რეკომენდაციით, უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე. კომისია შედგება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს აკადემიური თანამდებობის მქონე 8 წევრისგან და ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის მქონე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ყოველი სტრუქტურული ერთეულის თითო სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირისგან.

4. ფორუმზე წარსადგენად შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ნაშრომს უფლებამოსილი პირი წარადგენს ფაკულტეტზე. ფაკულტეტზე წარდგენილი შესაბამისი სამეცნიერო პროფილის ნაშრომებიდან კომისია შეარჩევს მხოლოდ ერთ, წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ საუკეთესო სამეცნიერო შედეგების ამსახველ მოხსენებას. შესაბამის ფაკულტეტზე მოხსენების წარდგენის ბოლო ვადაა ყოველი წლის 28 თებერვალი.

5. მოხსენების ავტორი (ავტორთა ჯგუფი) უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, ან ამ ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის შესაბამის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის პირს (გარდა ინდივიდუალური მონაწილისა).

6. ფორუმი ტარდება ყოველწლიურად, აპრილის თვეში, ზუსტი თარიღი დგინდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. კომისიის მუშაობის წესი

1. ფორუმზე წარსადგენი მოხსენების შერჩევას კომისია ახდენს ღია კენჭისყრის გზით, დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

2. კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს თავისი შემადგენლობიდან პირველ სხდომაზე ირჩევს კომისია ღია კენჭისყრით.

3. კომისიის მიერ ფორუმზე წარსადგენი მოხსენება უნდა შეირჩეს ყოველი წლის არაუგვიანეს 1 აპრილისა.

4. კომისიის საქმიანობას ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

5. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ კომისიის ის წევრები, რომელთა მოხსენებები განიხილება ფორუმზე წარსადგენად.

მუხლი 3. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსის გამოცხადების წესი

1. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსი კომისიის მიერ ცხადდება ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 იანვრისა.

2. განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი”.

მუხლი 4. ფორუმში მონაწილეთა დაჯილდოება

1. ფორუმში მონაწილე მოხსენების ავტორ(ებ)ს გადაეცემა(თ) ფორუმში მონაწილის სერტიფიკატი.

2. წამახალისებელი თანხა თითოეული მოხსენებისათვის წარმოადგენს 5 000 ლარს, რომელიც გადაეცემა მოხსენების ავტორს, ან ავტორთა ჯგუფს.